დანართი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებრივი ჯილდოებით დაჯილდოების წესი და პირობები

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) უწყებრივი ჯილდოებით (შემდგომში - უწყებრივი ჯილდო) დაჯილდოების პროცედურებსა და პირობებს.

მუხლი 2.

უწყებრივი ჯილდოთი დაჯილდოების მიზანია საქართველოს საგარეო ურთიერთობების განვითარებასა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესების დაცვაში შეტანილი წვლილის აღიარება-დაფასება, თანამშრომელთა წახალისება, მათი მოტივაციის გაძლიერება, მიღწეული შედეგების აღიარება-დაფასება და შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 3.

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებული უწყებრივი ჯილდოთი ჯილდოვდებიან სამინისტროს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობის შემთხვევაში:

ა) საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებისთვის.

ბ) საქართველოს დიპლომატიური სამსახურის განვითარებაში შეტანილი წვლილის/ღვაწლის ან საქართველოს სამინისტროს წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

გ) სამინისტროში ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის;

დ) საერთაშორისო ასპარეზზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში საქართველოს მხარდაჭერის, საქართველოსთან მტკიცე მეგობრული და

პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისა და განმტკიცების, საქართველოს ინტერესების დაცვისა და ქვეყნის განვითარების პროცესში მხარდაჭერისათვის.

2. პირის უწყებრივი ჯილდოთი დაჯილდოება შესაძლებელია სიკვდილის შემდეგაც.

მუხლი 4.

1. გადაწყვეტილებას უწყებრივი ჯილდოთი პირის დაჯილდოების შესახებ იღებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. უწყებრივი ჯილდოთი დაჯილდოების მიზნით მინისტრისათვის კანდიდატურების წარსადგენად იქმნება შესაბამისი კომისია მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების შემადგენლობით.

3. დასაჯილდოებლად წარსადგენ პირთა კანდიდატურები კომისიას წარედგინება მისი წევრების - მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ, ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.

4. მინისტრი უფლებამოსილია პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს კომისიის წარდგინების გარეშე.

მუხლი 5.

კალენდარული წლის განმავლობაში დასაშვებია უწყებრივი ჯილდოთი არაუმეტეს 3 პირის დაჯილდოება.

მუხლი 6.

1. დაჯილდოებულ პირს უწყებრივი ჯილდო შესაძლებელია გადაეცეს საზეიმო ვითარებაში, მათ შორის, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ან სამინისტროს მიერ დაგეგმილი რაიმე ღონისძიების ფარგლებში.

2. უწყებრივ ჯილდოსთან ერთად, დაჯილდოებულ პირს გადაეცემა:

ა) ქართულენოვანი სერტიფიკატი - საქართველოს მოქალაქეს;

ბ) ინგლისურენოვანი სერტიფიკატი - უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს.

3. დაჯილდოებული პირის არყოფნის შემთხვევაში, უწყებრივი ჯილდო გადაეცემა მის მიერ/სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პირს.